„ჯინის, ჰუვერის, ტეილის, ატკინსონის და მიგრაციის ინდექსები და მათი ეკონომიკური ანალიზი საქართველოსთვის, მისი ავტონომიური წარმონაქმნებისა და ისტორიული მხარეებისათვის“

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზნებია საქართველოს, მისი ავტონომიური ერთეულებისა და ისტორიული მხარეების, მოსახლეობის ეკონომიკური სტრუქტურის განსაზღვრა. ამასთან, არამკაფიო სიმრავლეების საშუალებით, არამკაფიო უთანაბრობის ინდექსების შემოტანა და მათი გამოთვლა მოსახლეობის ეკონომიკური სტრუქტურის მაქსიმალურად ზუსტი დახასიათებისაათვის. ქვეყნის გარე და შიდა მიგრაციის მიმართულებისა და დინამიკის გამოკვეთა და უთანაბრობასა და მიგრაციას შორის კორელაციის შესწავლა. ასევე გარე და შიდა მიგრაციის სუფთა ინდექსების გამოანგარიშება.